სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080173552556623

№ 1413 04 / მაისი / 2023 წ.

შპს „სატისისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 2 მაისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „სატისის“ SMP230001262 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს მიწის სათხრელი მოწყობილობების (მრავალფუნქციური ტრაქტორი) ოპერატორებთან ერთად დაქირავების მომსახურების შესყიდვას (CPV - 45500000 - სამშენებლო და სამოქალაქო მშენებლობის/ინჟინერიის მანქანა-დანადგარებისა და მათი ოპერატორების დაქირავება), ღირებულებით 6000.00 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შპს „სატისის“ მიერ მიწის სათხრელი მოწყობილობების (მრავალფუნქციური ტრაქტორი) ოპერატორებთან ერთად დაქირავების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული NAT230008576 ელექტრონული ტენდერი დასრულდა უშედეგოდ. საგულისხმოა, რომ შექმნილი ვითარება აფერხებს შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს, რადგან დაზიანებული წყალსადენის მაგისტრალზე ვერ ხორციელდება სამუშაოების ჩატარება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს მომსახურების შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, შპს „სატისის“ მიერ მიწის სათხრელი მოწყობილობების (მრავალფუნქციური ტრაქტორი) ოპერატორებთან ერთად დაქირავების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული NAT230008576 ელექტრონული ტენდერი დასრულდა

უშედეგოდ. საგულისხმოა, რომ შექმნილი ვითარება აფერხებს შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს, რადგან დაზიანებული წყალსადენის მაგისტრალზე ვერ ხორციელდება სამუშაოების ჩატარება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს მომსახურების შესყიდვა.

ამავდროულად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რათა მან დამატებით შეისწავლოს ტენდერის უშედეგოდ დასრულების მიზეზები და განახორციელოს სათანადო ღონისძიებები შემდგომში ასეთი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, დროულად და კვალიფიციურად დაგეგმოს სახელმწიფო შესყიდვები, მისი ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო საქონლის, სამუშაოსა და მომსახურებების შეძენის მიზნით, იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დამატებით მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს შპს „სატისის“ SMP230001262 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე